2023 წ.

# ოპერატიული ინფორმაცია

# 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-სექტემბერი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მოწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 26 ოქტომბრისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ოქტომბერი, 2023 წ.

2023 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 16,441.0 მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,914.2 მლნ ლარი) 75.0%-ს და 9 თვის გეგმის[1] (15,574.6 მლნ ლარი) 105.6%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,439.5 მლნ ლარით (17.4%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

**გადასახდელების** შესრულება 15,758.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,880.1 მლნ ლარი) 72.0%-ს და 9 თვის გეგმის (16,016.5 მლნ ლარი) 98.4%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-სექტემბრის მაჩვენებელს 2,094.1 მლნ ლარით (15.3%-ით) აჭარბებს.

2014-2023 წწ.შემოსულობებისა და გადასახდელების 9 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით (მლრდ ლარი, %)




შესაბამისად, იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **682.8** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი ოქტომბრისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 1,930.3 მლნ ლარის ოდენობით.

2014-2023 წწ. 9 თვის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)




რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული შემოსავლების (103.5%), ფინანსური აქტივების კლებისა (105.7%) და ვალდებულებების ზრდის (120.6%) კომპონენტები, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (84.2%).

**გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით,** 9 თვის დამტკიცებული გეგმის მაჩვენებლებთან მიმართებით, კარგი შესრულებით ხასიათდება ხარჯები კომპონენტი (9 თვის გეგმის 97.7%), არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები მაღალი შესრულებით გამოირჩევა (შესაბამისად, 102.6%, 105.3%), ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების შესრულება 94.4%-ს შეადგენს.

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 9 თვის გეგმა | 9 თვის შესრულება | 9 თვე / 9 თვის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **21,914.2** | **15,574.6** | **16,441.0** | **105.6%** |
| შემოსავლები | 17,619.9 | 13,266.1 | 13,732.0 | **103.5%** |
| არაფინანსური აქტივების კლება | 200.0 | 122.0 | 102.7 | **84.2%** |
| ფინანსური აქტივების კლება | 450.0 | 207.5 | 219.4 | **105.7%** |
| ვალდებულებების ზრდა | 3,644.3 | 1,979.0 | 2,386.9 | **120.6%** |

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 9 თვის გეგმა | 9 თვის შესრულება | 9 თვე / 9 თვის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **გადასახდელები** | **21,880.1** | **16,016.5** | **15,758.1** | **98.4%** |
| ხარჯები | 16,335.2 | 12,384.1 | 12,095.4 | **97.7%** |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,881.3 | 2,572.6 | 2,640.7 | **102.6%** |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 445.1 | 194.5 | 204.8 | **105.3%** |
| ვალდებულებების კლება | 1,218.5 | 865.3 | 817.2 | **94.4%** |

[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს №320 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **1,636.6** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **(-901.4)** მლნ ლარი.

2014–2023 წლების 9 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)




შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-სექტემბერში მიღებული შემოსავლების 90.0% და მთლიანი შემოსულობების 75.2% მოდის. კერძოდ, 9 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 12,364.4 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 101.6%-ს და წლიური გეგმის 75.9%-ს შეადგენს. ყველა საგადასახადო შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადებისა, რომელიც -103.6 მლნ ლარს შეადგენს) 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით ხასიათდება და 100.5%-125.4%-ის ფარგლებში მერყეობს, განსაკუთრებით კი გამოირჩევა იმპორტის გადასახადი (125.4%), საშემოსავლო გადასახადი (105.9%) და აქციზი (106.1%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 2,076.2 მლნ ლარით (20.2%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის (732.4 მლნ ლარით) და დღგ-ის (612.3 მლნ ლარით) მნიშვნელოვანი მატების გავლენით.

2022–2023 წწ. 9 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)




გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-სექტემბერში 12,095.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის დამტკიცებული გეგმის 97.7% და წლიური გეგმის 74.0%-ია. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, 9 თვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით, მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (102.3%), კარგი მაჩვენებლები აქვს პროცენტის (98.0%), სხვა ხარჯების (96.1%), სუბსიდიებისა (96.5%) და საქონლისა და მომსახურების (95.6%) მუხლებით გაწეულ ხარჯებს, შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება შრომის ანაზღაურებისა (93.4%) და გრანტების (87.9%) მუხლები. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 1,471.9 მლნ ლარით (13.9%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის (578.2 მლნ ლარით), აგრეთვე, პროცენტისა (336.7 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (258.5 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.

2022–2023 წწ. 9 თვის ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



# ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ | 2021 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2022 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2022 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | % | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | %-ᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ | |
| ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ | **12,891.4** | **14,001.5** | **21,914.2** | **15,574.6** | **16,441.0** | **866.3** | **105.6%** | **2,439.5** | **17.4%** | **75.0%** |
| ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ | **8,996.2** | **11,493.2** | **17,619.9** | **13,266.1** | **13,732.0** | **465.9** | **103.5%** | **2,238.8** | **19.5%** | **77.9%** |
| **გადასახადები** | **8,086.1** | **10,288.2** | **16,290.4** | **12,165.6** | **12,364.4** | **198.8** | **101.6%** | **2,076.2** | **20.2%** | **75.9%** |
| საშემოსავლო გადასახადი | 2,517.5 | 3,446.1 | 5,140.0 | 3,945.6 | 4,178.5 | 232.8 | 105.9% | 732.4 | 21.3% | 81.3% |
| მოგების გადასახადი | 790.9 | 1,560.7 | 2,000.0 | 1,580.0 | 1,588.2 | 8.2 | 100.5% | 27.4 | 1.8% | 79.4% |
| დღგ | 3,513.7 | 4,372.1 | 6,670.4 | 4,883.0 | 4,984.4 | 101.4 | 102.1% | 612.3 | 14.0% | 74.7% |
| აქციზი | 1,277.6 | 1,401.5 | 2,100.0 | 1,511.0 | 1,602.8 | 91.8 | 106.1% | 201.3 | 14.4% | 76.3% |
| იმპორტის გადასახადი | 60.8 | 87.0 | 130.0 | 91.0 | 114.1 | 23.1 | 125.4% | 27.1 | 31.2% | 87.8% |
| სხვა გადასახადები | -74.4 | -579.2 | 250.0 | 155.0 | -103.6 | -258.6 | -66.8% | 475.6 | -82.1% | -41.4% |
| **გრანტები** | **312.9** | **290.0** | **279.6** | **156.3** | **240.4** | **84.1** | **153.8%** | **-49.6** | **-17.1%** | **86.0%** |
| **სხვა შემოსავლები** | **597.2** | **915.0** | **1,050.0** | **944.2** | **1,127.2** | **183.0** | **119.4%** | **212.2** | **23.2%** | **107.4%** |
| ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ | **161.8** | **155.7** | **200.0** | **122.0** | **102.7** | **-19.3** | **84.2%** | **-53.0** | **-34.0%** | **51.3%** |
| ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ (ᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ) | **81.6** | **104.6** | **450.0** | **207.5** | **219.4** | **11.9** | **105.7%** | **114.8** | **109.8%** | **48.7%** |
| ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ | **3,651.8** | **2,248.1** | **3,644.3** | **1,979.0** | **2,386.9** | **407.9** | **120.6%** | **138.8** | **6.2%** | **65.5%** |
| საგარეო | 4,296.8 | 1,340.8 | 2,244.3 | 1,054.0 | 1,395.0 | 341.0 | 132.4% | 54.3 | 4.0% | 62.2% |
| საშინაო | -645.0 | 907.3 | 1,400.0 | 925.0 | 991.9 | 66.9 | 107.2% | 84.6 | 9.3% | 70.8% |
| | | | | | | | | | | |
| ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ | **14,459.1** | **13,664.1** | **21,880.1** | **16,016.5** | **15,758.1** | **-258.4** | **98.4%** | **2,094.1** | **15.3%** | **72.0%** |
| ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ | **9,975.4** | **10,623.5** | **16,335.2** | **12,384.1** | **12,095.4** | **-288.7** | **97.7%** | **1,471.9** | **13.9%** | **74.0%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,200.5 | 1,302.5 | 2,236.7 | 1,671.2 | 1,561.0 | -110.2 | 93.4% | 258.5 | 19.8% | 69.8% |
| საქონელი და მომსახურება | 1,214.4 | 1,322.4 | 2,025.5 | 1,567.5 | 1,497.9 | -69.6 | 95.6% | 175.5 | 13.3% | 74.0% |
| პროცენტი | 598.4 | 568.0 | 1,201.0 | 923.2 | 904.7 | -18.5 | **98.0%** | 336.7 | 59.3% | 75.3% |
| სუბსიდიები | 559.9 | 503.2 | 927.6 | 679.0 | 655.2 | -23.8 | **96.5%** | 152.0 | 30.2% | 70.6% |
| გრანტები | 531.2 | 641.8 | 1,275.8 | 951.2 | 836.1 | -115.1 | 87.9% | 194.3 | 30.3% | 65.5% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 4,423.2 | 4,496.7 | 6,447.9 | 4,962.6 | 5,075.0 | 112.4 | **102.3%** | 578.2 | 12.9% | 78.7% |
| სხვა ხარჯები | 1,447.8 | 1,788.9 | 2,220.7 | 1,629.4 | 1,565.6 | -63.9 | **96.1%** | -223.4 | -12.5% | 70.5% |
| ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ | **1,747.7** | **2,117.3** | **3,881.3** | **2,572.6** | **2,640.7** | **68.2** | **102.6%** | **523.5** | **24.7%** | **68.0%** |
| ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ (ᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ) | **235.8** | **154.7** | **445.1** | **194.5** | **204.8** | **10.4** | **105.3%** | **50.2** | **32.4%** | **46.0%** |
| ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ | **2,500.1** | **768.7** | **1,218.5** | **865.3** | **817.2** | **-48.2** | **94.4%** | **48.5** | **6.3%** | **67.1%** |
| საგარეო | 2,446.4 | 733.8 | 1,175.6 | 830.4 | 782.5 | -47.9 | 94.2% | 48.7 | 6.6% | 66.6% |
| საშინაო | 53.7 | 34.9 | 42.9 | 34.9 | 34.6 | -0.3 | 99.2% | -0.2 | -0.6% | 80.7% |
| | | | | | | | | | | |
| ᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ (+ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ / - ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ) | **-1,567.6** | **337.5** | **34.1** | **-441.9** | **682.8** | **648.7** | | **345.4** | | |

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს №320 ბრძანება)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ | 2021 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2022 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2022 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | % | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | %-ᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ | |
| **ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ** | **8,996.2** | **11,493.2** | **17,619.9** | **13,266.1** | **13,732.0** | **465.9** | **103.5%** | **2,238.8** | **19.5%** | **77.9%** |
| გადასახადები | 8,086.1 | 10,288.2 | 16,290.4 | 12,165.6 | 12,364.4 | 198.8 | 101.6% | 2,076.2 | 20.2% | 75.9% |
| გრანტები | 312.9 | 290.0 | 279.6 | 156.3 | 240.4 | 84.1 | 153.8% | -49.6 | -17.1% | 86.0% |
| სხვა შემოსავლები | 597.2 | 915.0 | 1,050.0 | 944.2 | 1,127.2 | 183.0 | 119.4% | 212.2 | 23.2% | 107.4% |
| **ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ** | **9,975.4** | **10,623.5** | **16,335.2** | **12,384.1** | **12,095.4** | **-288.7** | **97.7%** | **1,471.9** | **13.9%** | **74.0%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,200.5 | 1,302.5 | 2,236.7 | 1,671.2 | 1,561.0 | -110.2 | 93.4% | 258.5 | 19.8% | 69.8% |
| საქონელი და მომსახურება | 1,214.4 | 1,322.4 | 2,025.5 | 1,567.5 | 1,497.9 | -69.6 | 95.6% | 175.5 | 13.3% | 74.0% |
| პროცენტი | 598.4 | 568.0 | 1,201.0 | 923.2 | 904.7 | -18.5 | 98.0% | 336.7 | 59.3% | 75.3% |
| სუბსიდიები | 559.9 | 503.2 | 927.6 | 679.0 | 655.2 | -23.8 | 96.5% | 152.0 | 30.2% | 70.6% |
| გრანტები | 531.2 | 641.8 | 1,275.8 | 951.2 | 836.1 | -115.1 | 87.9% | 194.3 | 30.3% | 65.5% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 4,423.2 | 4,496.7 | 6,447.9 | 4,962.6 | 5,075.0 | 112.4 | 102.3% | 578.2 | 12.9% | 78.7% |
| სხვა ხარჯები | 1,447.8 | 1,788.9 | 2,220.7 | 1,629.4 | 1,565.6 | -63.9 | 96.1% | -223.4 | -12.5% | 70.5% |
| **ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲚᲓᲝ** | **-979.2** | **869.8** | **1,284.7** | **882.0** | **1,636.6** | **754.6** | **185.6%** | **766.9** | **88.2%** | **127.4%** |
| **ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **1,585.9** | **1,961.6** | **3,681.3** | **2,450.6** | **2,538.1** | **87.5** | **103.6%** | **576.5** | **29.4%** | **68.9%** |
| ზრდა | 1,747.7 | 2,117.3 | 3,881.3 | 2,572.6 | 2,640.7 | 68.2 | 102.6% | 523.5 | 24.7% | 68.0% |
| კლება | 161.8 | 155.7 | 200.0 | 122.0 | 102.7 | -19.3 | 84.2% | -53.0 | -34.0% | 51.3% |
| **ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲚᲓᲝ** | **-2,565.1** | **-1,091.8** | **-2,396.6** | **-1,568.6** | **-901.4** | **667.1** | **57.5%** | **190.4** | **-17.4%** | **37.6%** |
| **ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **-1,413.4** | **387.6** | **29.2** | **-454.9** | **668.3** | **1,123.2** | **-146.9%** | **280.8** | **72.4%** | **2288.5%** |
| **ᲖᲠᲓᲐ** | **235.8** | **492.1** | **479.2** | **194.5** | **887.7** | **693.2** | **456.4%** | **395.5** | **80.4%** | **185.2%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 337.5 | 34.1 | 0.0 | 682.8 | 682.8 | | 345.4 | 102.3% | 2002.3% |
| სესხები | 235.8 | 154.7 | 445.1 | 194.5 | 203.7 | 9.3 | 104.8% | 49.1 | 31.7% | 45.8% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.1 | 1.1 | | 1.1 | | |
| **ᲙᲚᲔᲑᲐ** | **1,649.2** | **104.6** | **450.0** | **649.4** | **219.4** | **-430.0** | **33.8%** | **114.8** | **109.8%** | **48.7%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,567.6 | 0.0 | 0.0 | 441.9 | 0.0 | -441.9 | 0.0% | 0.0 | | |
| სესხები | 79.3 | 103.6 | 450.0 | 207.5 | 217.8 | 10.3 | 105.0% | 114.2 | 110.2% | 48.4% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 2.3 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 1.6 | 1.6 | | 0.6 | 60.6% | |
| **ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ** | **1,151.7** | **1,479.4** | **2,425.8** | **1,113.7** | **1,569.7** | **456.1** | **140.9%** | **90.3** | **6.1%** | **64.7%** |
| **ᲖᲠᲓᲐ** | **3,651.8** | **2,248.1** | **3,644.3** | **1,979.0** | **2,386.9** | **407.9** | **120.6%** | **138.8** | **6.2%** | **65.5%** |
| საშინაო | -645.0 | 907.3 | 1,400.0 | 925.0 | 991.9 | 66.9 | 107.2% | 84.6 | 9.3% | 70.8% |
| საგარეო | 4,296.8 | 1,340.8 | 2,244.3 | 1,054.0 | 1,395.0 | 341.0 | 132.4% | 54.3 | 4.0% | 62.2% |
| **ᲙᲚᲔᲑᲐ** | **2,500.1** | **768.7** | **1,218.5** | **865.3** | **817.2** | **-48.2** | **94.4%** | **48.5** | **6.3%** | **67.1%** |
| საშინაო | 53.7 | 34.9 | 42.9 | 34.9 | 34.6 | -0.3 | 99.2% | -0.2 | -0.6% | 80.7% |
| საგარეო | 2,446.4 | 733.8 | 1,175.6 | 830.4 | 782.5 | -47.9 | 94.2% | 48.7 | 6.6% | 66.6% |
| **ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | | **0.0** | | |